

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები
საკრედიტო ბარათის ხელშეკრულება # _____, [წელი] წლის [რიცხვი, თვე]

საკრედიტო ბარათის საპროცენტო განაკვეთი	
საკრედიტო ბარათის საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	
საკრედიტო ბარათის წლიური საპროცენტო განაკვეთი:	[პროცენტი ციფრებით]%
საკრედიტო ბარათის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	1.პროცენტი ციფრებით % - ბანკის ბანკომატიდან საკრედიტო ბარათის თანხის ათვისების შემთხვევაში; 2.პროცენტი ციფრებით % - სავაჭრო ობიექტიდან საკრედიტო ბარათის თანხის ათვისების შემთხვევაში
საკრედიტო ბარათის ფინანსური ხარჯები	
ყოველთვიური შენატანის ოდენობა:	შენატანები განისაზღვრება ათვისებული თანხის, დაფარვის ვადების, ასევე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესაბამისად.
საკრედიტო ლიმიტის თანხის ნებისმიერი ბანკის ბანკომატში ან/და სერვისცენტრში განაღდებას საკომისიო:	
სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია	
საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტი:	
კლიენტის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა ბანკის ბანკომატიდან თანხის ათვისების შემთხვევაში:	
კლიენტის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა სავაჭრო ობიექტიდან თანხის ათვისების შემთხვევაში:	
საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადა:	
საკრედიტო ბარათის ხელშეკრულების მოქმედების ვადა:	_____, მაგრამ ყველა შემთხვევაში, სანამ სრულად არ იქნება შესრულებული კლიენტის ვალდებულებები
საკრედიტო ბარათის ვადაზე ადრე დაფარვის პირგასამტეხლო:	
საკრედიტო ბარათის საშელავათო პერიოდში ვადაზე ადრე დაფარვის რიგითობა:	საკრედიტო ბარათზე საშელავათო პერიოდის განმავლობაში კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში, პირველ რიგში იფარება ხარჯები, პირგასამტეხლოები, საკომისიო თანხები, შემდეგ საპროცენტო სარგებელი და ბოლოს კრედიტის თანხა.
ვადაგადაცილების პირგასამტეხლო:	
საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პირგასამტეხლო:	

საკრედიტო ბარათის დაფარვის ტიპი/ოფცია:

ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, კლიენტის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტ-ბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. შეტყობინების აღნიშნული ვადები არ მოქმედებს თუ ცვლილება: - ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ; ან - არ იწვევს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებას ან/და სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის გაზრდას.

კლიენტს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით. ასევე, დისტანციური მომსახურების ცენტრში, სატელეფონო ზარის საშუალებით: 032 2 55 55 00

კლიენტის ხელმოწერა/ -----

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდსა - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე - 032 2 406 406

საკრედიტო ბარათის ხელშეკრულება #

, საქართველო,

[წელი] წლის [რიცხვი, თვე]

1. ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ:

1.1. ბანკი:	
1.1.1. საფირმო სახელწოდება:	სს "ლიბერთი ბანკი"
1.1.2. იურიდიული/საკორესპონდენტო მისამართი:	
1.1.3. საიდენტიფიკაციო კოდი:	203828304
1.1.4. ტელეფონი:	+995 32 2 55 55 00
1.1.5. ელ-ფოსტა:	info@lb.ge
1.1.6. წარმომადგენლის სახელი და გვარი:	
1.1.7. წარმომადგენლის თანამდებობა:	
1.2. კლიენტი:	
1.2.1. სახელი და გვარი/სახელწოდება:	
1.2.2. პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი:	
1.2.3. საკორესპონდენტო მისამართი:	
1.2.4. ტელეფონი:	
1.2.5. ელ-ფოსტა:	
1.2.6. წარმომადგენელი (ხელმოწერი/თანხმობის განმცხადებელი პირი)	
1.2.7. სახელი, გვარი, პირადი ნომერი:	
1.2.8. წარმომადგენლის თანამდებობა:	

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე საკრედიტო ბარათის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კლიენტის საკრედიტო ბარათით (შემდგომში „საკრედიტო ბარათი“) მომსახურება, რაც შეზღუდვის გარეშე გულისხმობს ბანკის მიერ კლიენტისთვის წინამდებარე ხელშეკრულების და მისი დანართების შესაბამისად კლიენტის საკრედიტო ბარათის ანგარიშზე საკრედიტო ლიმიტის დაშვებას, საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის წესების განსაზღვრას და კლიენტის მიერ აღნიშნული საკრედიტო ბარათით სარგებლობისას ათვისებული კრედიტის თანხის, მასზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთის, საკომისიო(ებ)ის და სხვა ნებისმიერი სახის ფულადი ვალდებულების გადახდის წესების განსაზღვრას.

2.2 კრედიტის ძირითადი პირობები შემდეგია:

2.2.1 საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტი:	თანხა ციფრობრივად ([თანხა სიტყვიერად]) ვალუტა
2.2.2 საკრედიტო ბარათის მიზნობრიობა:	სამომხმარებლო
2.2.3 საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადა:	
2.2.4 საკრედიტო ბარათის ხელშეკრულების მოქმედების ვადა:	, მაგრამ ყველა შემთხვევაში, სანამ სრულად არ იქნება შესრულებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე კლიენტის ვალდებულებები.
2.2.5 საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის ათვისების ვადა (პერიოდი რომლის განმავლობაშიც კლიენტმა შეიძლება ისარგებლოს კრედიტით ხელშეკრულებაში მოცემული პირობებით):	თუ ბანკი სხვაგვარად არ გადაწყვეტს.
2.2.6 საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	
2.2.7 საკრედიტო ბარათის წლიური საპროცენტო განაკვეთი:	პროცენტი ციფრებით%
2.2.8 საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის ათვისების წესი:	საკრედიტო ლიმიტი დაიშვება საკრედიტო ბარათის ანგარიშზე [მიეთითოს ანგარიშის ნომერი]

	<p>კრედიტის ათვისება საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადის განმავლობაში, მათ შორის აღნიშნული პერიოდის განმავლობაში შესაძლებელია კლიენტის მიერ საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში ათვისებული და ვადაზე ადრე (საკრედიტო ბარათის მოქმედების ვადის ამოწურვამდე) დაფარული საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის თანხის ხელახალი ათვისება.</p>
<p>2.2.9 საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის დაფარვის წესი:</p>	
<p>2.2.10 კლიენტის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა ბანკის ბანკომატიდან თანხის ათვისების შემთხვევაში:</p>	<p>მთლიანი გადასახდელი თანხის ოდენობა შეიცვლება ათვისებული საკრედიტო ლიმიტის, საკრედიტო ლიმიტის დაფარვის ვადების, საპროცენტო განაკვეთის ან/და ფინანსური ხარჯების ცვლილების შესაბამისად.</p>
<p>2.2.11 კლიენტის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა სავაჭრო ობიექტიდან თანხის ათვისების შემთხვევაში:</p>	<p>მთლიანი გადასახდელი თანხის ოდენობა შეიცვლება ათვისებული საკრედიტო ლიმიტის, საკრედიტო ლიმიტის დაფარვის ვადების, საპროცენტო განაკვეთის ან/და ფინანსური ხარჯების ცვლილების შესაბამისად.</p>
<p>2.2.12 <u>საკომისიო:</u></p>	
<p>(i) საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის დამტკიცების/გაცემის საკომისიო:</p>	
<p>(ii) საკრედიტო ლიმიტიდან ნებისმიერი ბანკის ბანკომატიდან ან/და სერვისცენტრიდან განაღდების საკომისიო:</p>	
<p>(iii) მომსახურების ან/და სავაჭრო ობიექტებში საკრედიტო ბარათით ანგარიშსწორების საკომისიო:</p>	
<p>2.2.13 <u>პირგასამტებლო:</u></p>	
<p>(i) საკრედიტო ბარათის საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პირგასამტებლო:</p>	
<p>(ii) ვადაგადაცილების პირგასამტებლო:</p>	
<p>(iii) კრედიტის თანხის ვადაზე ადრე დაფარვის პირგასამტებლო:</p>	
<p>2.2.14 <u>ფინანსური ხარჯები და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:</u></p>	
<p>(i) გადასახდელი თანხის (შენატანის) ოდენობა:</p>	<p>შენატანები განისაზღვრება საკრედიტო ლიმიტიდან ათვისებული თანხის, დაფარვის ვადების ან/და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესაბამისად</p>
<p>(ii) სხვა ხარჯები:</p>	<p>არა არის განსაზღვრული</p>
<p>(iii) ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:</p>	<p>1. სავაჭრო ობიექტში ანგარიშსწორებისას სავაჭრო ობიექტიდან საკრედიტო ბარათის თანხის ათვისების შემთხვევაში - პროცენტი ციფრებით % ; 2. ბანკის ბანკომატიდან საკრედიტო ბარათის თანხის ათვისების შემთხვევაში - პროცენტი ციფრებით %;</p>
<p>(iv) ხელშეკრულების 2.2.1 ქვეპუნქტში მითითებული კრედიტის თანხიდან ფინანსური ხარჯების გამოკლებით დარჩენილი თანხა:</p>	<p>თანხა ციფრობრივად ([თანხა სიტყვიერად]) ვალუტა)</p>
<p>2.2.15 საკრედიტო შუამავალი:</p>	<p>წინამდებარე ხელშეკრულება არ არის დადებული საკრედიტო შუამავლის მეშვეობით; ან</p>

	<p>წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია საკრედიტო შუამავლის, კემოდ, (დასახელება/ სახელი და გვარი; საიდენტიფიკაციო ნომერი ან პირადი ნომერი; რეგისტრაციის მისამართი; საკონტაქტო ტელეფონის ნომერი; საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის/ლიცენზირების ფორმა) მეშვეობით; საკრედიტო შუამავალი წარმოადგენს ან არ წარმოადგენს ბანკთან დაკავშირებულ პირს;</p>
<p>2.2.16 უზრუნველყოფა:</p>	<p>საკრედიტო ბარათის ხელშეკრულების დადების მომენტისთვის - საბლანკო, რაც არ გამორიცხავს, რომ შესაბამის მხარეთა შეთანხმებით წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე კლიენტის ფულადი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად დაიდოს შესაბამისი დაკავშირებული გარიგებები (იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის ხელშეკრულებები და სხვა).</p>
<p>2.2.17 დამატებითი პირობები:</p>	

3 მხარეთა უფლებები და მოვალეობები

3.1 **დაფარვის პრიორიტეტი და რიგითობა.** კრედიტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელების დაფარვის თანმიმდევრობა (მათ შორის კრედიტზე საშეღავათო პერიოდში კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში) შემდეგია: პირველ რიგში იფარება ხარჯები (მათ შორის და არამარტო საარბიტრაჟო, სასამართლო დავასთან, სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები, ზიანის / ზარალის ანაზღაურების თანხები და სხვა), შემდგომ საკრედიტო ლიმიტის გადახარჯული თანხა, საკრედიტო ლიმიტის გადახარჯული თანხაზე დაკისრებული პირგასამტეხლო, პირგასამტეხლო, ვადაგადაცილებული ყოვეთვიური საკომისიოები, საკომისიო თანხები, შემდეგ საპროცენტო სარგებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბოლოს საკრედიტო ლიმიტიდან ათვისებული თანხა. ამასთან, აღნიშნული რიგითობა განისაზღვრება ბანკის შეხედულებისამებრ და კლიენტის წინასწარი თანხმობის გარეშე, შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს.

3.2 კლიენტი აცხადებს თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე ბანკმა, საკუთარი არჩევანით, არ განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულებების დაფარვა, თუ კლიენტს ბანკის წინაშე გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულებისგან დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები (მიუხედავად იმისა დამდგარია თუ არა ამ ვალდებულებათა შესრულების ვადა). კლიენტის მიერ ჩარიცხული ფულადი სახსრებით წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა განხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიფარება/შემცირდება ბანკის წინაშე არსებული კლიენტის ამ ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები.

3.3 ბანკის წინაშე კლიენტის ერთდროულად ერთზე მეტი ვადამოსული ფულადი ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, როდესაც კლიენტის ანგარიშზე განთავსებული თანხა არ არის საკმარისი ერთზე მეტი ვადამოსული (მათ შორის ვადაგადაცილებული) ვალდებულების სრულად შესასრულებლად, ყოველ ჯერზე, ასეთი გარემოების დადგომის დღეს (და არა წინასწარ), სამუშაო დღეებში 17:30 სთ-მდე, ხოლო შაბათს 13:30 სთ-მდე, კლიენტს უფლება აქვს, ბანკის მიერ განსაზღვრული წესით, ბანკის ფილიალისთვის, სერვის ცენტრისთვის მიმართვის გზით, ასევე ბანკის ინტერნეტ ბანკის, სატელეფონო ცენტრის საშუალებით (ხოლო ინდივიდუალური მეწარმის, იურიდიული პირის და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ ბანკის ფილიალისთვის, სერვის ცენტრისთვის მიმართვა და არჩევანის დაფიქსირება) აირჩიოს ვალდებულებების შესრულების (საკრედიტო პროდუქტების დაფარვის) რიგითობა. თუ აღნიშნულ ვადაში და წესით კლიენტი არ ისარგებლებს მისთვის მინიჭებული ზემოაღნიშნული უფლებით, კლიენტის ფულადი ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით: (I) საკრედიტო ბარათ(ებ)ი, ოვერდრაფტ(ებ)ი, არაუზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (II) მხოლოდ გირავნობით (გარდა ფულადი სახსრების/დეპოზიტის) უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (III) მხოლოდ თავდებობით ან/და საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (IV) უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (V) ფულადი სახსრებით/დეპოზიტით უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი; (VI) სხვა სახის კრედიტ(ებ)ი. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ბანკი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს კლიენტის ფულადი ვალდებულებათა შესრულების რიგითობა.

3.4 კლიენტი აცხადებს თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე კლიენტის ნებისმიერი ფულადი ვალდებულების შესრულების მიზნით, ბანკმა დააკავოს კრედიტის

(საკრედიტო ბარათის) თანხიდან ან/და ჩამოწეროს კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან, მათ შორის სადეპოზიტო ანგარიშიდან, (თუ გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის მომენტისთვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს კლიენტის ანგარიშიდან) და დაფაროს ფულადი ვალდებულებები ან/და უზრუნველყოს მათი გადარიცხვა დამზღვევისათვის. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ კრედიტის თანხა სრულად ათვისებულია კლიენტის მიერ ან/და არ არის საკმარისი პრემიის დასაფარად, **ბანკი** უფლებამოსილია გადასახდელი პრემია დაფაროს კრედიტის მოცულობის ცალმხრივად გაზრდის ან ანგარიშზე საკრედიტო ბარათის დაშვების ხარჯზე.

3.5 მხარეები ერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან, კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი კლიენტის ფულადი სახსრების **ბანკში** არსებობის ან/ განთავსების შემთხვევაში არ მოხდება კრედიტის წინსწრებით (ვადაზე ადრე) ავტომატურად დაფარვა და კლიენტის იცინიატივით კრედიტის სრულად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე დაფარვა შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად კლიენტის მიერ **ბანკისთვის** მიმართვის საფუძველზე.

3.6 პროცენტის და პირგასამტეხლოს დარიცხვის გაგრძელება. ხელშეკრულების შეწყვეტის (როგორც ვადამდე, ისე ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო) შემთხვევაში, **საპროცენტო სარგებლის** და **პირგასამტეხლოს** დარიცხვა გაგრძელდება/შენარჩუნდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად და კლიენტი ვალდებული იქნება სხვა გადასახდელბთან ერთად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნებაყოფლობით ან/და იძულებით აღსრულების წესით სრულად დაფარვის დროს, **ბანკის** წინაშე ასევე დაფაროს ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ დარიცხული პირგასამტეხლოს და საპროცენტო სარგებლის თანხები.

3.7 თუ ხელშეკრულების შეწყვეტამდე უზრუნველყოფის საგანი გადმოეცემა **ბანკს**, უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციამდე პროცენტის და პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება/შენარჩუნდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მთლიან დავალიანების თანხაზე, დავალიანების სრულად დაფარვამდე. ამასთან, **ბანკის** მიერ მიღებული უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის შემთხვევაში, შესაბამისი წილით შემცირდება დავალიანება, ხოლო დანარჩენი დავალიანებაზე, კვლავ გაგრძელდება/ შენარჩუნდება პროცენტის და პირგასამტეხლოს დარიცხვა.

3.8 კლიენტი აცხადებს თანხმობას, **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, უზრუნველყოფის საგნის **ბანკისთვის** გადაცემის (ნებაყოფლობით ან გადახდევინების მიქცევის გზით) მიუხედავად, უზრუნველყოფის საგნის გასხვისებასა და ფულადი ვალდებულებების სრულად დაფარვამდე, გაგრძელდეს/ შენარჩუნდეს პროცენტის და პირგასამტეხლოს დარიცხვა დავალიანების სრულ ოდენობაზე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3.9 მოთხოვნის წარდგენის და გადახდევინების მიქცევისას ქონების არჩევითობა. კლიენტი აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი არჩევანით მოითხოვოს ვალდებულებების დაფარვა კლიენტის ნებისმიერი ქონებ(ებ)იდან იმგვარად, რომ თავდაპირველად მოთხოვნის წარდგენა არ მოხდეს უზრუნველყოფის საშუალების საგნ(ებ)ის ან/და დაკავშირებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი პირის მიმართ. ასეთი ქმედება არ უნდა ჩაითვალოს **ბანკის** მხრიდან უზრუნველყოფის საგანზე ან/და დაკავშირებული ხელშეკრულებაზე უარის თქმად და **ბანკს** უნარჩუნდება უფლება, ნებისმიერ დროს წარადგინოს მოთხოვნა, დაიწყოს გადახდევინების მიქცევა უზრუნველყოფის საგანზე ან/და დაკავშირებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირ(ებ)ის ქონებაზე.

3.10 გადახდევინების მიქცევისას კლიენტის რამდენიმე ვადამოსული დავალიანების არსებობისას, **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვროს ვადამოსული დავალიანების გადასახდელბის რიგითობა და თანმიმდევრობა.

3.11 თუ უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის საკუთრებაში მიღების მომენტისთვის უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის ღირებულება ან/და უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის რეალიზაციიდან ან/და გასხვისებიდან მიღებული თანხა საკმარისი არ არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად დასაფარად (მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად კრედიტის ან/და კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელბის თანხების გადახდისთვის): (ა) კლიენტი დარჩება პასუხისმგებელი დარჩენილი ფულადი ვალდებულებების ნაშთზე (მათ გადახდაზე); (ბ) **ბანკი** უფლებამოსილია, გადახდევინება მიაქციოს კლიენტის ნებისმიერ სხვა ქონებაზე. იგივე წესი ვრცელდება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში, რაც გულისხმობს, რომ თუ აუქციონზე გასაყიდი უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის ყიდვის ფასი იქნება **ბანკის** მოთხოვნაზე ნაკლები, უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის რეალიზაციით მიღებული თანხით **ბანკის** მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ **ბანკის** მოთხოვნა მაინც ჩაითვლება უზრუნველყოფილად, ხოლო **ბანკი** უზრუნველყოფილ კრედიტორად.

3.12 თუ **ბანკის** მიერ მოთხოვნის წარდგენის/გადახდევინების მიქცევის ეტაპისთვის ვერ ხდება უზრუნველყოფის საგნის მოძიება, მიუხედავად მოუძიებლობის მიზეზისა (ქონების გადამალვა, განადგურება, ქონების ჩამორთმევა, ნებისმიერი ადმ. ორგანოს მიერ, ქონების საქართველოს საზღვრის კვეთა და ა.შ) კლიენტი აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი არჩევანით მოითხოვოს: (ა) კლიენტისგან შესაბამისი ღირებულებების მქონე უზრუნველყოფის საგნის წარმოდგენა ან (ბ) ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა და ვალდებულებების სრულად დაფარვა კლიენტის ნებისმიერი ქონებ(ებ)იდან.

3.13 საკრედიტო საინფორმაციო ბიურო. კლიენტისათვის ცნობილია, რომ ბანკი კანონმდებლობით განსაზღვრული და ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეაგროვებს/დაამუშავებს კლიენტის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის (შემდგომში - ბიურო) ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება კლიენტის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

3.14 კლიენტს გაცნობიერებული აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომ კლიენტის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამამუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

3.15 ბანკის მიერ ხელშეკრულების ვადამდე ან ცალმხრივად შეწყვეტა. ბანკი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ან/და მოთხოვოს კლიენტს კრედიტის თანხის (სრულად ან ნაწილობრივ), ასევე მასთან დაკავშირებული გადასახდელების, ვადაზე ადრე, დაუყოვნებლივ დაფარვა კანონმდებლობით ან/და სტანდარტული პირობებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3.16 კრედიტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები. კლიენტისთვის ცნობილია, რომ: (ა) თუ კლიენტის შემოსავლები კრედიტის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაშია, ასეთ შემთხვევაში კლიენტს გააჩნია სავალუტო რისკები შესახებ, რაც გულისხმობს, რომ ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა კრედიტის შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს; (ბ) კლიენტს შეიძლება გაეზარდოს კრედიტზე გადასახდელი თანხები თუ კრედიტი გაცემულია ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთით; (გ) კლიენტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მათ შორის კრედიტის ძირითადი თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში ბანკმა შესაძლოა მიაქციოს გადახდევინება კლიენტის, თავდები პირ(ებ)ის ქონებაზე, ასევე უზრუნველყოფის საშუალებებზე, მათ შორის ბანკმა მიმართოს ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა (გ.ა) კლიენტის, თავდები პირ(ებ)ის ნებმისმიერი ქონების (მათ შორის, ანგარიშების, ფულადი სახსრების) ასევე უზრუნველყოფის საშუალებების დაყადაღება, შეზღუდვების, აკრძალვების, უფლებრივი ტვირთის გავრცელება; ან/და (გ.ბ) კლიენტის, თავდები პირ(ებ)ის საბანკო ანგარიშებიდან (მათ შორის სადეპოზიტო ანგარიშებიდან) ან/და სხვა ანგარიშებიდან ფულადი სახსრების უაქცეპტო წესით ჩამოწერა; (გ.გ) კლიენტის ან/და თავდები პირ(ებ)ის მიმართ გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების დაწყების მოთხოვნა. (გ.დ) მოითხოვოს კლიენტის ან/და თავდები პირ(ებ)ის ქონების იძულებითი მართვა (სეკვესტრი).

3.17 ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი ცვლილება. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, კლიენტის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტ-ბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. შეტყობინების ვადების აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება თუ ხელშეკრულების ცვლილება: (ა) განპირობებულია ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრული და კლიენტის ქმედებით გამოწვეული გარემოებების დადგომით; ან (ბ) ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ, რაზედაც მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკი თავისუფლდება ასეთი ცვლილებების შესახებ შეტყობინების ვალდებულებისგან; ან (გ) არ იწვევს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებას ან/და სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის გაზრდას; ან (დ) განპირობებულია ინდექსის ცვლილებით (ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში).

3.18 კლიენტი ანიჭებს ბანკს უფლებამოსილებას მიაწოდოს ხელშეკრულების პირობების ცვლილებების, ასევე სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შესახებ ინფორმაცია დაკავშირებული ხელშეკრულების მხარეებს (მათ შორის უზრუნველყოფის საშუალების მესაკუთრეებს, თავდებ პირებს, გარანტორებს და სხვა), ასევე ხელშეკრულების სხვა სოლიდარულ მოვალეებს (თანამსესხებლებს).

3.19 დაკავშირებული ხელშეკრულების მხარისთვის ინფორმაციის მიწოდება. კლიენტი გამოხატავს თანხმობას და ბანკს ანიჭებს გამოუთხოვად უფლებამოსილებას, ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ გადასცეს ხელშეკრულების ნებისმიერ კლიენტს (თუ რამდენიმე კლიენტია), ასევე დაკავშირებული ხელშეკრულების მხარეს (იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის და ა.შ ხელშეკრულების მხარეს): (ა) ხელშეკრულება, (ბ) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, (გ) გარემოებების შესახებ ინფორმაცია, რაც ბანკის შეხედულებით შეიძლება გახდეს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი, (გ) ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ვალდებულების და ასევე შესრულებული ფულადი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია (მათ შორის ანგარიშიდან მიღებული ამონაწერის სახით). გაუგებრობის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტში აღნიშნული პირობა არ ზღუდავს ბანკს დაამუშაოს კონფიდენციალური ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური ინფორმაცია) და ისარგებლოს იმ უფლებებით, რაც განსაზღვრულია სტანდარტული პირობებით.

3.20 **მონიტორინგი კლიენტი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდის განმავლობაში ნებისმიერ დროს, **ბანკმა** კლიენტთან მოახდინოს სატელეფონო კომუნიკაცია ან/და მიავლინოს **კლიენტის** საქმიანობის ან/და სხვა შესაბამის ადგილზე **ბანკის** თანამშრომელი ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი და შეაფასოს, დაასურათოს, შეადგინოს შესაბამისი აქტი **კრედიტის მიზნობრიობის** შემოწმების და მონიტორინგის, ასევე **კრედიტის** დაფარვის წყაროს შესწავლის მიზნით და ამ მიზნების შესასრულებლად საჭირო მოცულობით.

4 ხელშეკრულების მოქმედების ფარგლები

4.1 **მხარეთა** მიერ წინამდებარე **საკრედიტო ბარათით** მომსახურების ხელშეკრულებაზე თანხმობის გამოხატვით (მათ შორის **ბანკის** მიერ განსაზღვრული დისტანციური არხების, ინტერნეტ ბანკინგის/მობაილ ბანკინგის ან სხვა არხების საშუალებით) ასეთ თანხმობას ექნება მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალა და შესაბამისად დადებულიად ითვლება და ძალაში შედის **ხელშეკრულება**, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან: (ა) **განაცხადი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში); (ბ) წინამდებარე **საკრედიტო ბარათით** მომსახურების ხელშეკრულება; (გ) წინამდებარე **ხელშეკრულების** დანართი **საკრედიტო ბარათის პირობები** (შემდგომში - **პირობები**), რომელიც წარმოადგენს **საკრედიტო ბარათის** მომსახურების ხელშეკრულების დანართს და განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე <https://libertybank.ge/ka/agreements/sakredito-barati>; (დ) **საკრედიტო ბარათით** სარგებლობის **ბანკში** დადგენილი ტარიფებისაგან, რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების** დანართს და მის განუყოფელ ნაწილს; (ე) **ბანკში** არსებული **უნივერსალური ანგარიშის მომსახურების პირობებისაგან**; და (ვ) ნებისმიერი ცვლილებები ან/და დამატებები, რომელიც დაიდო ან მომავალში დაიდება **მხარეთა** შორის **საკრედიტო ბარათის** მოქმედების ფარგლებში.

4.2 **საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებაზე** თანხმობის გამოხატვით **კლიენტი** ადასტურებს, რომ: (ა) ის (**კლიენტი**) სრულად გაცნობილია და ეთანხმება **ხელშეკრულების** თავსართში, **საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებაში** მოცემულ ინფორმაციას და **სტანდარტულ პირობებს**, (ბ) **ხელშეკრულება** ითვლება დადებულიად და (გ) მისთვის მისაღებია **კრედიტის თანხა, პროცენტი**, მოქმედების ვადა, **პირგასამტეხლოს**, **საკომისიოს** მოცულობები და სხვა პირობები.

4.3 **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ წინამდებარე **ხელშეკრულების** შესაბამისად **კრედიტის** გაცემის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს **კლიენტის** მიერ **ბანკში ანგარიშის** ფლობა. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს ბანკში** არ გააჩნია **ანგარიში, კრედიტის** გაცემა მოხდება მხოლოდ **ანგარიშის** გახსნის განაცხადზე **კლიენტის** მიერ ხელმოწერისა და შესაბამისი **ანგარიშის** გახსნის შემთხვევაში.

4.4 თუ თავად **საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მასზე სრულად ვრცელდება **სტანდარტული პირობების** მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება, მათ შორის და არამარტო ტერმინთა განმარტებები, **კლიენტის განცხადებები და გარანტიები, კრედიტის თანხით** სარგებლობის, **მხარეთა** პასუხისმგებლობის, **მხარეთა** კომუნიკაციის პირობები და სხვა. ამასთან, **საკრედიტო ბარათის ხელშეკრულების** პირობებსა და **სტანდარტულ პირობების** ტექსტს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება **საკრედიტო ბარათის ხელშეკრულების** პირობებს.

4.5 **ბანკის** ვებ-გვერდზე ან/და **ბანკის** სხვა საინფორმაციო წყაროებში/არხებში განთავსებულ და **ბანკის** მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის **ბანკის** მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია **ბანკის** დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, აქვთ მტკიცებულებითი ძალა **საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

4.6 წინამდებარე **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე. **მხარეთა** შეთანხმებით **ხელშეკრულება** დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში **ხელშეკრულების** ქართულ ენაზე შედგენილ ეგზემპლარს უპირატესობა მიენიჭება **ხელშეკრულების** სხვა ენაზე შედგენილ ეგზემპლარებთან მიმართებაში. ამასთან, **კლიენტისთვის** სახელშეკრულებო პირობებისა და ინფორმაციის მიწოდება, ასევე **კლიენტთან** კომუნიკაცია **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში განხორციელდება ქართულ ან ინგლისურ ან რუსულ ენაზე.

4.7 წინამდებარე **საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **ბანკის** მოთხოვნების მესამე პირისთვის დათმობის (გასხვისების) შემთხვევაში, **ბანკი** აცნობებს **კლიენტს** წერილობით ან ელექტრონული ფოსტით ან ინტერნეტ ბანკით ან მობაილ ბანკით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით გაგზავნილი შეტყობინების გზით არაუგვიანეს 5 (ხუთი) **საბანკო დღის** ვადაში.

4.8 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს **კანონმდებლობის** შესაბამისად. **მხარეები** თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილის საფუძველზე, დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

4.9 **ბანკის** საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის მისამართია: 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა № 2.

	ბანკი		კლიენტი
	-----		-----